14/09/2026

MES 5 26 0001190812

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 31.08.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:03
სხდომის დასრულების დრო: 15:27
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XII საკითხებზე)
სხდომის მდივანი: ქეთევან აფთარაშვილი (XIII, XIV, XV, XVI, XVII და XVIII საკითხებზე)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1) ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
2) ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3) ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4) ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5) პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6) მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7) მარინე რუხაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

8) ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9) შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10) ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11) ინგა დიასამიძე - სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12) მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
13) ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14) თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი , პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;
15) თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
16) თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
17) ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
18) გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
19) ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
20) თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
21) დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;
22) სალომე ტყეშელაშვილი - სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ანა ჯუღელი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო შიოშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი
1. დიანა მჭედლიშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
2. მარიამ ოქრუაშვილი - კავკასიის მედიცინის სკოლის დეკანი;
3. მანანა მაჩიტიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს უნივერსიტეტი გეომედი

1. მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ნინო ოთარიშვილი - საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ალექსანდრე ლოლაძე - რექტორის მოადგილე სამეურნეო - ადმინისტაციულ დარგში;
4. ზურაბ ცეცხლაძე - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. ეკატერინე მოწონელიძე - რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში;
6. თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსის მართვის სამსახურის უფროსი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
1. რუსუდან ერისთავი - პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
2. ანა წერეთელი - ასოცირებული პროფესორი, "გრაფიკული დიზაინის" პროგრამის თანახელმძღვანელი;
3. თამთა მეტივიშვილი - ასისტენტ-პროფესორი,"ფოტოხელოვნების" პროგრამის თანახელმძღვანელი;
4. მარიამ ჭიჭინაძე - პროფესორი,"გრაფიკული დიზაინის" პროგრამის თანახელმძღვანელი.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი

1. თემურ ტუნაძე - ხარისხის სამსახურის უფროსი;
2. ნაილა ჩელებაძე - პრორექტორი;
3. ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
4. ნონა შუშანიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
5. ლელა კუკულაძე - ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. თალიკო ბერიძე - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. ია შალამბერიძე - იურისტი;
8. მზია შავაძე - იურისტი;
9. ეკატერინე გელენიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი;
10. ინეზა ფუტკარაძე - კანცელარიის თანამშრომელი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ქეთევან ვაჩეიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
2. მაია ჭიჭილეიშვილი - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, "ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ერმილე მესხია - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, "კულტურული ტურიზმის" პროგრამის ხელმძღვანელი;
4. სოფიო თავაძე - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. ხათუნა მანაგაძე - მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. პროფესორი, "სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები; ვოკალი; სიმებიანი საკრავები; ჩასაბერი საკრავები)" პროგრამის ხელმძღვანელი;
6. თამაზ ბოლქვაძე - პროფესორი, "სამსახიობი ხელოვნების" პროგრამის ხელმძღვანელი;
7. ირინე ყურუა - ასოცირებული პროფესორი, "ტელე-რადიო ჟურნალისტიკის" პროგრამის ხელმძღვანელი;
8. ინგა ხალვაში - "აუდიოვიზუალური ხელოვნების" პროგრამის ხელმძღვანელი, პირველი კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი.

შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი

1. ქეთევან ჯინჭარაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. თამაზ უზუნაშვილი - ბიზნესის სკოლის ვიცე - დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. გიორგი ჭიჭინაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. რუსუდან საღინაძე - "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. ეკატერინე დადიანი - "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია

1. პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის მეთაურის მოადგილე;
2. თამარ რემიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე - მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
4. ნიკოლოზ სამხარაძე - "საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორი;
5. სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
6. ნინო ისაკაძე - მაგისტრატურის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ივანა კარევი (Ivana Carev) - I საკითხი;
დავით თოფურია I საკითხი;
ირმა ქურდაძე I საკითხი;
მელიტა მელიქიშვილი I საკითხი;
შადი მუჰამედ ჰასან ჰამორი (Shadi Mohammad Hassan Hamouri) - II საკითხი;
თამარ ვალიშვილი - II საკითხი;
თამარ გოდერიძე - II საკითხი;
გულნაზი მაღრაძე - II საკითხი;
თამარ ჩხეიძე - III და IV საკითხები;
თინათინ გაბრიჩიძე - III და IV საკითხები;
ნინო პოპიაშვილი - V, VI და XVII საკითხები;
ნინო ფხაკაძე - V და VI საკითხები;
ნინო მგალობლიშვილი - VII და IX საკითხები;
მაია გრძელიძე - VII საკითხი;
რუსუდან თაყაიშვილი - VIII და XI საკითხები;
ნინო ქავთარია - VIII და XI საკითხები;
ეკა დევიძე - IX საკითხი;
ნინო შოშიტაშვილი - X საკითხი;
თამთა კობახიძე - XI და XII საკითხები;
გიორგი ნიკურაძე - XIII საკითხი;
დავით სიხარულიძე - XIV, XV და XVI საკითხები;

თინათინ ქაროსანიძე - XVIII საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემლევან შავაძემ, ხოლო საბჭოს სხდომის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XII საკითხების განხილვის დროს, სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ვაჟა კელიხაშვილმა, ხოლო XIII, XIV, XV, XVI, XVII და XVIII საკითხებზე, ქეთევან აფთარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს უნივერსიტეტი გეომედის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტელე-რადიო ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

10. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო შემსრულებლობის (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
13. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
14. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
15. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
16. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
17. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

შუამდგომლობა დააყენა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ, რომ დღის წესრიგის მიხედვით პირველ საკითხად განხილულიყო შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, რომელიც განხილული იყო 2026 წლის 3 და 21 აგვისტოს საბჭოს სხდომებზე და საბჭოს გადაწყვეტილებით, საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომაზე.

საბჭო დაეთანხმა შუამდგომლობას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს უნივერსიტეტი გეომედის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტელე-რადიო ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო შემსრულებლობის (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
13. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
14. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
15. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

16. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
17. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
18. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საექთნო საქმე
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საექთნო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0913 საექთნო და სამეანო საქმე
კრედიტი - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ჩანიშნული იყო წინა საბჭოს სხდომაზე, საკითხის განხილვა გადაიდო საბჭოს ინიციატივით და ექსპერტებისგან გამოითხოვეს დამატებითი მოსაზრებები "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, თუმცა დამატებით პოზიციაში რაიმე განსხვავებული და მნიშვნელოვანი ინფორმაცია საბჭომ ვერ ნახა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტების დამატებითი პოზიცია: "უნივერსიტეტის პოზიციის განხილვისა და ექსპერტებს შორის გამართული მსჯელობის შედეგად, ორივე სტანდარტის შეფასება ხელახლა იქნა

განხილული. ვინაიდან აღნიშნული ორი სტანდარტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, უნივერსიტეტის პოზიცია ორივე მათგანის შეფასებისას მნიშვნელოვანი იყო. მისი გათვალისწინება საფუძვლად დაედო თავდაპირველი შეფასების გადახედვას. მიღებული შეფასება ასახავს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნას."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების პოზიცია: "წინამდებარე განმარტება ეხება ექსპერტთა დასკვნის 2.2 და 4.4 კომპონენტებში ასახულ ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს - სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო სასწავლო, ლაბორატორიულ და სიმულაციურ რესურსებს. უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნული მიმართულებების შემდგომი გაძლიერების საჭიროებას. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია არსებული პრაქტიკის, რესურსებისა და მათი კურიკულუმთან კავშირის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად. ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროგრამა კონცეპტუალურად ითვალისწინებს პრაქტიკული კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინირებით. ამავე დროს, ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკული და კვლევითი უნარების, სიმულაციური სწავლებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შემდგომ გაძლიერებაზე. პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება პროგრამაში ადრეული ეტაპიდან იწყება და თანდათან რთულდება. „საექთნო საქმის საფუძვლები და პროფესიული უნარები“ სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, სიმულაციურ გარემოში შეასრულოს საბაზისო საექთნო პროცედურები და მოემზადოს მათი კლინიკურ გარემოში გამოყენებისთვის. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს ლექტორი ახდენს შესაბამისი საექთნო პროცედურის დემონსტრირებას, რის შემდეგაც სტუდენტი პრაქტიკულად ასრულებს და ავარჯიშებს აღნიშნულ უნარს სიმულაციურ გარემოში. მიმდინარე ზეპირ-პრაქტიკული შეფასებისას კი სტუდენტი დამოუკიდებლად ასრულებს პროცედურას და ზეპირი გამოკითხვის ფარგლებში პარალელურად აანალიზებს მის ეტაპებს, მსჯელობს მოქმედებების თანმიმდევრობაზე, მიზანზე, უსაფრთხოების პრინციპებსა და კლინიკურ მნიშვნელობაზე.

შეფასება ეფუძნება კურსის სავალდებულო სასწავლო რესურსში განსაზღვრულ საექთნო პროცედურების პროტოკოლებსა და მოქმედებათა თანმიმდევრობას. ამგვარად, იგი აერთიანებს პრაქტიკულ შესრულებას, თეორიულ ცოდნას, ლოგიკურ მსჯელობასა და კრიტიკულ აზროვნებას. მისი განმავითარებელი ფუნქცია გამოიხატება მიღებულ უკუკავშირსა და დაშვებული შეცდომების ანალიზში, რაც სტუდენტს ეხმარება პრაქტიკული მოქმედების უკეთ გააზრებასა და კლინიკური მსჯელობის გაუმჯობესებაში. სასწავლო რესურსის პროტოკოლებზე დაყრდნობით მუშაობა დამატებით წაახალისებს სტუდენტს, სისტემურად იმუშაოს სავალდებულო ლიტერატურასთან. სილაბუსებში გამოყენებული ტერმინი „ზეპირი შეფასება“ შესაბამის პრაქტიკულ კურსებში შეფასების შემოკლებული სახელწოდებაა. რეალურად იგი ზეპირ დასაბუთებასთან ერთად მოიცავს პრაქტიკული მოქმედების, სტრუქტურის ამოცნობის ან შეფასების ტექნიკის დემონსტრირებას. შესაბამისად, ფორმულირება დაზუსტდება როგორც „მიმდინარე ზეპირპრაქტიკული შეფასება,'' შეფასების არსებული შინაარსის ცვლილების გარეშე. მიმდინარე ზეპირ-პრაქტიკული შეფასებისგან განსხვავებით, OSCE წარმოადგენს სტრუქტურირებულ გამოცდის ფორმატს, რომელიც ერთგვაროვანი კრიტერიუმებით აფასებს სტუდენტის პრაქტიკული უნარის სწორ, უსაფრთხო და თანმიმდევრულ შესრულებას. შესაბამისად, ეს ორი ფორმა განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთშემავსებელ ფუნქციებს ასრულებს: მიმდინარე ზეპირ-პრაქტიკული შეფასება აერთიანებს შესრულებას, კლინიკურ დასაბუთებასა და განმავითარებელ უკუკავშირს, ხოლო OSCE უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპეტენციის ობიექტურ შეფასებას სტრუქტურირებულ პირობებში. კრიტიკული აზროვნება და კლინიკური მსჯელობა კურიკულუმში რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში ვითარდება. პირველი სემესტრიდან სტუდენტი ეცნობა საექთნო

პროცესს, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და საბაზისო კლინიკურ მსჯელობას; შემდგომ კლინიკურ კურსებში, მაგალითად „თერაპია-ქირურგია 1–2,'' „პედიატრიული პაციენტის საექთნო მოვლა" და „ჯანმრთელობის განათლება და პაციენტის თვითმართვის გაუმჯობესება," აანალიზებს პაციენტის მონაცემებს, განსაზღვრავს პრობლემებისა და ინტერვენციების პრიორიტეტებს, აფასებს შედეგებს და ადაპტირებს მოვლას. ამ მიმართულებას დამატებით აძლიერებს არჩევითი კურსი „კრიტიკული აზროვნების უნარები," რომელიც უშუალოდ არის მიმართული კრიტიკული აზროვნების, კლინიკური რეზონირებისა და კლინიკური განსჯის განვითარებაზე.

კვლევითი უნარების განვითარებაც პროგრამაში თანმიმდევრულად არის ინტეგრირებული. პირველივე სემესტრში, კურსში „შესავალი საექთნო საქმეში და პროფესიული ეთიკა,'' სტუდენტები ეცნობიან მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და კვლევის როლს საექთნო საქმიანობაში. შემდგომ ეტაპებზე ეს მიმართულება ღრმავდება სპეციალიზებული კურსებით, მათ შორის „კვლევა ექთნებისთვის: კვლევის მეთოდები მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინა.'' შედეგად, სტუდენტი საწყისი კვლევითი აზროვნებიდან გადადის კვლევის მეთოდოლოგიის, მტკიცებულებების შეფასებისა და მათი პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენების უფრო მაღალ დონეზე. პირველ სემესტრში კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის თემა სილაბუსშიც პირდაპირ არის ასახული. უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს სიმულაციური და კვლევითი შესაძლებლობების, მათ შორის ბიოსამედიცინო და ბიოქიმიური კვლევითი ინფრასტრუქტურის, შემდგომი გაძლიერების შესახებ. აღნიშნული განვითარება კიდევ უფრო გააფართოებს სტუდენტების შესაძლებლობას, უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოში განავითარონ პრაქტიკული, კვლევითი, კრიტიკული აზროვნებისა და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარები. შესაბამისი შემენილი რესურსები ამ ეტაპზე უკვე ადგილზეა და ფუნქციურ მდგომარეობაშია, რაც ამ მიმართულებების შემდგომი განვითარების საფუძველს ქმნის.

მატერიალური რესურსები და მათი კავშირი სასწავლო პროცესთან - ექსპერტთა დასკვნაში ასახულია უნივერსიტეტში არსებული კლინიკური უნარების ლაბორატორიები, ანატომიის სასწავლო სივრცეები, ბიოქიმიის სასწავლო სივრცე, იმუნოლოგიის, ბაქტერიოლოგიისა და მოლეკულური ლაბორატორიები, რომელთა უმეტესი ნაწილი ვიზიტის დროს უკვე მოწყობილი იყო, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში ნახსენები ბიოქიმიის ლაბორატორია ამ ეტაპზე უკვე თითქმის მოწყობილია და სტუდენტების მიღებამდე სრულ მზადყოფნაში იქნება. ამავე დროს, რეკომენდებულია ბიოსამედიცინო კვლევითი ინფრასტრუქტურისა და სასწავლო ლაბორატორიული აღჭურვილობის შემდგომი განვითარება, მათ შორის თანამედროვე მანეკენების, დიაგნოსტიკური ხელსაწყოებისა და სიმულატორების დამატება. წარმოდგენილი რესურსები, რომელთა შეძენა განხორციელდა ექპერტთა ვიტამდე და (შპს „თბილისი მედიკის" ხელშეკრულებები №08.09.2025), (შპს „პრაიმთან" №01/09/25 ხელშეკრულება) უკვე ადგილზე იყო, მოწყობილი და ფუნქციურ მდგომარეობაშია. რაც შეეხება ბიოქიმიის, იმუნოლოგიის, ბაქტერიოლოგიისა და მოლეკულურ კვლევით ლაბორატორიებს ექსპერტთა ვიზიტისას ამ სივრცეების განკუთვნილი ტექნიკა ადგილზე იყო და მიმდინარეობდა მათი მოწყობა, ამ ეტაპზე ეს პროცესი დასრულებულია და მცირე ტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც სრულყოფილად დასრულდება სტუდენტთა ჩარიცხვამდე. უნივერსიტეტი აგრძელებს მათ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში და არსებული სასწავლო, ლაბორატორიული და სიმულაციური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაძლიერებას ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად.

რესურსების კავშირი სასწავლო კურსებთან - 50 Carl Zeiss Primostar მიკროსკოპი შესყიდულია და ადგილზეა, მიმდინარეობს მათი ინსტალაცია. წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტით დასტურდება ანატომიური მოდელებისა და კლინიკური უნარების მულაჟი/სიმულატორების შესყიდვაც, რაც ასახულია წარმოდგენილ ხელშეკრულებებში. ბიოქიმიის სილაბუსში გამოყენებული ტერმინი „სემინარი" დაზუსტდება როგორც „ლაბორატორიული მუშაობა.'' აღნიშნული დაზუსტება ასახავს კურსში უკვე განსაზღვრულ პრაქტიკულ აქტივობებსა და

სწავლის შედეგებს და არ იწვევს კურსის შინაარსობრივ ცვლილებას. შეჯამებისთვის, უნივერსიტეტი მადლობას უხდის ექსპერტთა ჯგუფსა და აკრედიტაციის საბჭოს პროგრამის საფუძვლიანი განხილვისათვის. უნივერსიტეტის უპირველესი მიზანია სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევას შეუწყობს ხელს. ამ მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს და შემდგომშიც გააგრძელებს მატერიალური, ლაბორატორიული, კვლევითი და სიმულაციური შესაძლებლობების განვითარებას. ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს პროგრამის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს უნივერსიტეტში უკვე არსებობდა და საექთნო საქმის პროგრამისთვის მოწყობილი იყო ანატომიის ორი სასწავლო ოთახი, კლინიკური უნარების სივრცე (სულ 4), ბიოქიმიის სასწავლო სივრცე, ასევე შეძენილი/შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმებული იყო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კვლევით ლაბორატორიულ, მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც ექსპერტთა ვიზიტის დროს ადგილზე იყო, არ იყო დასრულებული მათი მოწყობა. ვიზიტის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა შეძენილი რესურსების მოწყობის პროცესი, რაც დასრულებული იქნება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებეისათვის საჭირო მატერიალური რესურსები უზრუნველყოფილია, რისი მატერიალური ან/და დოკუმენტური მტკიცებულებაც უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ჯერ კიდევ ექსპერტთა ვიზიტის დროს. იმედს ვიტოვებთ, რომ ექსპერტთა ჯგუფი და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო შეფასების პროცესში გაითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ ფაქტობრივ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გარემოებებს".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვავთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:11
დასრულების დრო: 11:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოსაზრების და ზეპირი განხილვების საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:
ა) საბჭომ სტანდარტის 2.2. კომპონენტის შეფასება, ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მთლიანად მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება, რომლის მიხედვითაც მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, განისაზღვრა, როგორც "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან."
ბ) საბჭომ სტანდარტის 4.3. კომპონენტში დაემატა შემდეგი რეკომენდაცია - "მდგრადი პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კარიერული განვითარების მკაფიო გზები. ეს უნდა მოიცავდეს დაწინაურების შესაძლებლობებს, კვლევითი დაფინანსების ხელმისაწვდომობასა და შეფასების რეგულარულ ჩატარებას, რომელიც შესაძლოა დაუკავშირდეს კვლევით მიღწევებს, სწავლების ხარისხსა და საექთნო პროფესიაში წვლილს." რის საფუძველზეც, სტანდარტის 4.3. კომპონენტი, და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შსაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".
გ) საბჭომ სტანდარტის 4.4 კომპონენტის შეფასება და ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მე - 4 სტანდარტის შეფასების ცვლილება, რომლის მიხედვითაც მე - 4 სტანდარტი, ნაცვლად, "ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

მეორე საკითხი: შპს უნივერსიტეტი გეომედის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საექთნო საქმე
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საექთნო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0913 საექთნო და სამეანო საქმე
კრედიტი - 240

საბჭოს სხდომას მეორე საკითხიდან შემოუერთდნენ: ინგა დიასამიძე, მარინე რუხაძე და სალომე ტყეშელაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

თვითაცილება განაცხადა შალვა კელაპტრიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-2 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა, შადი მუჰამედ ჰასან ჰამორიმ (Shadi Mohammad Hassan Hamouri) აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა სიმულაციისა და შესაბამისი პრაქტიკის სივრცეები. ჩატარდა გასაუბრებები რექტორთან, ვიცე-რექტორთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან. პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტი, შეფასდა, როგორც - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ჯგუფმა გამოავლინა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის დამტკიცებული მეთოდოლოგია კონკრეტულად საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გამოიყენოს და ოფიციალურად წარმოადგინოს, თუ როგორ განისაზღვრება დაგეგმილი სტუდენტთა წლიური მიღების რაოდენობა არსებული აკადემიური და საექთნო პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციური ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსებისა და პროგრამის სხვა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. ასევე, რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით განისაზღვროს, როგორ დგინდება სტუდენტთა მისაღები რაოდენობა არსებული აკადემიური პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციის სივრცეების, მატერიალური რესურსებისა და ინსტიტუციის სხვა შესაძლებლობების გათვალისწინებით და მკაფიოდ დასაბუთდეს ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და ოფიციალურად აღრიცხოს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტი, რათა უზრუნველყოს და დაადასტუროს ჯანდაცვის რეალურ გარემოში, ზედამხედველობის ქვეშ, არანაკლებ 2 300 საათის კლინიკური სწავლება, საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. რეკომენდებულია, განახლებულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაიმიჯნოს თეორიული სწავლება, აუდიტორიაში ჩატარებული სემინარები, სიმულაცია და უნარების ლაბორატორიაში განხორციელებული აქტივობები ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთა უშუალო მოვლის საათებისგან, ხოლო კლინიკური სწავლების საათები დაანგარიშდეს თითოეული სასწავლო კურსისა და კონკრეტული კლინიკური დაწესებულების მიხედვით. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და ოფიციალურად დაამტკიცოს პროგრამაზე მორგებული ჩარჩო კლინიკური პრაქტიკის ორგანიზების, ზედამხედველობისა და შეფასებისთვის. რეკომენდებულია, ამ ჩარჩოთი განისაზღვროს აკადემიური პერსონალის, კლინიკური კოორდინატორების, კვალიფიციური საექთნო მიმართულების პედაგოგებისა და კლინიკური მენტორი ექთნის პასუხისმგებლობები, სტუდენტებისა და ზედამხედველების თანაფარდობა, აუცილებელი საექთნო პროცედურები და კლინიკური აქტივობები, დასწრებისა

და გაცდენილი პრაქტიკის აღდგენის მოთხოვნები, აგრეთვე საექთნო კომპეტენციების მიღწევის დადასტურების მექანიზმები. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საექთნო მიმართულების პერსონალის სისტემატური ჩართვა საექთნო სფეროს სპეციფიკური კომპეტენციების სწავლებაში, ზედამხედველობასა და შეფასებაში, მათ შორის საექთნო შეფასების, საექთნო დიაგნოზის, მოვლის დაგეგმვის, საექთნო ჩარევების, საექთნო დოკუმენტაციის, პაციენტის განათლების, მოვლის უწყვეტობისა და პროფესიული საექთნო ავტონომიის მიმართულებით. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლებისა და სწავლის მინიმალური მეთოდების თანმიმდევრული გამოყენება, განსაკუთრებით სტრუქტურირებული CBL-ის, ექთანი–პაციენტის როლური თამაშის, სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლებისა და პაციენტის საწოლთან სწავლების მიმართულებით. რეკომენდებულია, შესაბამის სილაბუსებში მკაფიოდ განისაზღვროს თითოეულ მეთოდთან დაკავშირებული სწავლის შედეგები, სტუდენტთა აქტივობები, კლინიკური ან სიმულაციური გარემო, ფასილიტატორის პასუხისმგებლობები და მოსალოდნელი შედეგები. რეკომენდებულია, პროგრამულ დონეზე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს მეთოდოლოგიური ჩარჩო PBL-ის, CBL-ის, TBL-ის, CBCR-ის, შებრუნებული საკლასო ოთახის, სიმულაციის, როლური თამაშისა და პაციენტის საწოლთან სწავლებისათვის. რეკომენდებულია, ჩარჩომ განსაზღვროს თითოეული მეთოდის არსებითი ელემენტები და უზრუნველყოს სახელმძღვანელო მითითებები შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში მათი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააერთიანოს, ოფიციალურად განსაზღვროს და დანერგოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი ყოვლისმომცველი OSCE/OSPE-ის ჩარჩო, რომელიც მოიცავს გამოცდის სტრუქტურას, საექთნო საქმის სპეციფიკურ სადგურების სცენარებს, შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებს/ჩეკლისტებს, სტუდენტებისა და გამომცდელებისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს, ადმინისტრირების პროცედურებს და გამომცდელთა მომზადებას ერთიანი სტანდარტის შესაბამისად. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ გასაჩივრების პროცედურა ოფიციალურად განასხვავებდეს ტექნიკურ გადამოწმებას შინაარსობრივი გადაფასებისგან და ითვალისწინებდეს, რომ სადავო შეფასების შინაარსობრივი გადახედვა განხორციელდეს დამოუკიდებელი შემფასებლის ან ორგანოს მიერ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი თავდაპირველ შეფასებაზე. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თეორიულ, ლაბორატორიულ და კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება არა მხოლოდ სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით, არამედ საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და საექთნო მზრუნველობის გეგმების შემუშავების მიმართულებითაც და უზრუნველყოს ასეთი ტრენინგების სათანადო დოკუმენტირება. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატიურად უზრუნველყოს, მონიტორინგი გაუწიოს და დოკუმენტურად აღრიცხოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება საექთნო საქმის მიმართულებით, მათ შორის საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და მოვლის დაგეგმვის მიმართულებით მომზადება; განსაკუთრებით იმ პერსონალის შემთხვევაში, რომლის ძირითადი პროფესიული მიმართულება მედიცინაა. რეკომენდებულია, პროგრამის თეორიულ და კლინიკურ განხორციელებაში სათანადოდ ჩართული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე საექთნო საქმის პროფესიონალთა საკმარისი რაოდენობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დაადასტუროს, რომ პარტნიორი კლინიკური დაწესებულებების შესაძლებლობები, მათ შორის ხელმისაწვდომი განყოფილებები, სტუდენტებისთვის განსაზღვრული ადგილები და განრიგის დაგეგმვის პირობები, საკმარისია სტუდენტთა დაგეგმილი კონტინგენტისთვის და რომ ყველა სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გაიაროს სავალდებულო კლინიკური მომზადება. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სრულყოფილად დანერგოს OSCE/OSPE-ის ინფრასტრუქტურა და საოპერაციო მექანიზმები, მათ შორის უზრუნველყოს საგამოცდო სადგურები, აღჭურვილობა,

ადმინისტრირება და ზედამხედველობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს ექიმებისა და ექთნების როლები და პასუხისმგებლობები კლინიკურ სწავლებასა და შეფასებაში და უზრუნველყოს კვალიფიციური საექთნო პერსონალის სათანადო ჩართულობა საექთნო კომპეტენციების შეფასებაში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მკაფიოდ ასახოს და დაასაბუთოს პროგრამის, ფაკულტეტის ან ინსტიტუციური ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში და ოფიციალურად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ აღნიშნული რესურსები ადეკვატურად ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო როგორც განმეორებად, ისე ერთჯერად ხარჯებს, მათ შორის პერსონალის, კლინიკური სწავლების, სიმულაციური სწავლების, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, შეფასებისა და პერსონალის განვითარების ხარჯებს. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაასაბუთოს და დოკუმენტურად ასახოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და მექანიზმები, მათ შორის განმეორებადი და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სხვა ინსტიტუციური რესურსებიდან პროგრამის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისი წყარო და აღნიშნული მხარდაჭერის საფუძველი მკაფიოდ უნდა აისახოს ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტაციაში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროგრამისა და სასწავლო კურსების დოკუმენტაციის შიდა განხილვის პროცესი, რათა უზრუნველყოს მკაფიო შესაბამისობა სწავლების მეთოდებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების სისტემატური და დოკუმენტირებული ჩართულობა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, მათ შორის წარმოადგინოს მტკიცებულება, თუ როგორ გამოიყენება მათი უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად აღრიცხოს გამოვლენილი ხარვეზები, გაუმჯობესების ღონისძიებები და შემდგომი მონიტორინგის შედეგები PDCA ციკლის ფარგლებში, რათა დადასტურდეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების მოსაზრება: "რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის დამტკიცებული მეთოდოლოგია კონკრეტულად საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლოს პროგრამის მიმართ გამოიყენოს და ოფიციალურად წარმოადგინოს, თუ როგორ განისაზღვრება დაგეგმილი სტუდენტთა წლიური მიღების რაოდენობა არსებული აკადემიური და საექთნო პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციური ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსებისა და პროგრამის სხვა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. 2. რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით განისაზღვროს, როგორ დგინდება სტუდენტთა მისაღები რაოდენობა არსებული აკადემიური პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციის სივრცეების, მატერიალური რესურსებისა და ინსტიტუციის სხვა შესაძლებლობების გათვალისწინებით და მკაფიოდ დასაბუთდეს ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის. 1 და 2 რეკომენდაციების პასუხი: უნივერსიტეტში შემუშავებულია „სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს: სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. საგნობრივ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. - თითოეულ საგანმანათლებლო

პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა განისაზ ღვრება შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით: საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა არსებული რაოდენობა; საგანმანათლებლო პროგრამაზე დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა; საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა; საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა. - საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეულიპერსონალის შემდეგი თანაფარდობა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის: 1 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული)არაუმეტეს 10 სტუდენტზე (1/10). 1 აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი) არაუმეტეს 35სტუდენტზე (1/35). - საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემდეგი თანაფარდობა: აკადემიური პერსონალის წილი არ უნდა იყოს 30% ნაკლები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი არ უნდა იყოს 30% ნაკლები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. - საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ყოველწლიურად, ყოველი მომდევნო აკადემიური წლისთვის. - საგანმანათლებლო პროგრამებზე კონტინგენტის დაგეგმილი ყოველწლიური რაოდენობები მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე. - კლინიკური/პრეკლინიკური/ფუნდამენტური დისციპლინების შემთხვევაში სტუდენტთა რაოდენობა სასწავლო კურსის/კურაციის პრაქტიკულ მეცადინეობაზე/სასწავლოკვლევით ლაბორატორიაში არ უნდა არემატებოდეს 10-ს. - მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი (კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში) კლინიკური საგნების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო/სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში - ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების მიმწოდებელ კლინიკებში. საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, სალექციო და სასემინარო აუდიტორიებით, სტუდენტებისთვის კლინიკებიდან ხელმისაწვდომი უნდა იყოს წვდომა სასწავლო რესურსებზე (ელექტრონული, წიგნადი). საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის გავლის პერიოდში უნდა შეადგენდეს: - თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის - ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის - მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის - პედიატრიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის - რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის. უნივერსიტეტის მატერიალური/ტექნიკური რესურსი, საექთნო პროგრამის სიმულაციური კლინიკა უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას მაღალი ხარისხით სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. (იხილეთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე „სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია“). 3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და ოფიციალურად აღრიცხოსსაექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტი, რათა უზრუნველყოს და დაადასტუროს ჯანდაცვის რეალურ გარემოში, ზედამხედველობის ქვეშ, არანაკლებ 2 300 საათის კლინიკური სწავლება, საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. რეკომენდებულია, განახლებულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაიმიჯნოს თეორიული სწავლება, აუდიტორიაში ჩატარებული სემინარები, სიმულაცია და უნარების ლაბორატორიაში განხორციელებული აქტივობები ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთა უშუალო მოვლის საათებისგან, ხოლო კლინიკური სწავლების საათები დაანგარიშდეს თითოეული სასწავლო კურსისა და კონკრეტული კლინიკური დაწესებულების მიხედვით.

საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის მე-5 გვერდზე ვკითხულობთ: "აღნიშნული დოკუ მენტის თანახმად, საექთნო საქმის სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები არანაკლებ 3 წლის ხანგრძლივობის უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს თეორიული და კლინიკური სწავლების არანაკლებ 4600 საათს. დირექტივის თანახმად, თეორიული სწავლების ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს პროგრამის მინიმალური სავალდებულო ხანგრძლივობის მინიმუმ მესამედს - არანაკლებ 1534 საათისა; ხოლო კლინიკური სწავლების კომპონენტი - მინიმალური სავალდებულო ხანგრძლივობის სულ მცირე ნახევარს, არანაკლებ 2300 საათს".
ჩვენ წარმოვადგინეთ ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამა -240 კრედიტი (6000 სთ.).
პროგრამის კურიკულუმში (სასწავლო გეგმაში) მკაფიოდ გამიჯნულია პრეკლინიკური სასწავლო კურსები და კლინიკური სასწავლო კურსები.
*აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამის მხოლოდ კლინიკური სწავლების კომპონენტია - 3250 სთ (130კრ * 25სთ =3250 სთ), რაც არის პროგრამის სრული საათების 54%, ანუ 4%-ით მეტი ვიდრე გულისხმობს დარგობრივი მახასიათებელი. აღნიშნული დასტურდება პროგრამით და კურიკულუმით.*
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და ოფიციალურად დაამტკიცოს პროგრამაზე მორგებული ჩარჩო - კლინიკური პრაქტიკის ორგანიზების, ზედამხედველობისა და შეფასებისთვის. რეკომენდებულია, ამ ჩარჩოთი განისაზღვროს აკადემიური პერსონალის, კლინიკური კოორდინატორების, კვალიფიციური საექთნო მიმართულების პედაგოგებისა და კლინიკური მენტორი ექთნის პასუხისმგებლობები; სტუდენტებისა და ზედამხედველების თანაფარდობა; აუცილებელი საექთნო პროცედურები და კლინიკური აქტივობები; დასწრებისა და გაცდენილი პრაქტიკის აღდგენის მოთხოვნები; აგრეთვე, საექთნო კომპეტენციების მიღწევის დადასტურების მექანიზმები.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 15) განსაზღვრულია „კლინიკური კურაციის ჩატარების და მონიტორინგის მექანიზმები", სადაც მოცემულია პრაქტიკის ორგანიზების, ზედამხედველობის და შეფასების მექანიზმები.
ვიზიარებთ რეკომენდაციას და გავითვალისწინებთ.

5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, საექთნო მიმართულების პერსონალის სისტემატური ჩართვა საექთნო სფეროს სპეციფიკური კომპეტენციების სწავლებაში, ზედამხედველობასა და შეფასებაში, მათ შორის საექთნო შეფასების, საექთნო დიაგნოზის, მოვლის დაგეგმვის, საექთნო ჩარევების, საექთნო დოკუმენტაციის, პაციენტის განათლების, მოვლის უწყვეტობისა და პროფესიული საექთნო ავტონომიის მიმართულებით. *დარგობრივი მახასიათებლის (6.1. პუნქტი. გვ 35) შესაბამისად კლინიკური დისციპლინების სწავლებაში ჩართულ პერსონალს აქვს საექთნო ან/და მედიცინის სფეროში გამოცდილება. პროგრამაში ჩართულია პერსონალი, რომელსაც აქვს გამოცდილება საექთნო სფეროში, მაგალითად: ნინო ოთარიშვილი (აქვს ფერშლის კვალიფიკაცია და 8 წლის ექთნად მუშაობის გამოცდილება), ნინო ფიფია (აქვს მედდის კვალიფიკაცია), გიორგი კეშელავა (აქვს 4 წლის ექთნად მუშაობის გამოცდილება), ანა ჭიპაშვილი (აქვს ზოგადი პროფილის მედდის კვალიფიკაცია და ექთნად მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება).*
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლებისა და სწავლის მინიმალური მეთოდების თანმიმდევრული გამოყენება, განსაკუთრებით სტრუქტურირებული CBL-ის, ექთანი–პაციენტის როლური თამაშის, სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლებისა და პაციენტის საწოლთან სწავლების მიმართულებით. რეკომენდებულია, შესაბამის სილაბუსებში მკაფიოდ განისაზღვროს თითოეულ მეთოდთან დაკავშირებული სწავლის შედეგები, სტუდენტთა აქტივობები, კლინიკური ან სიმულაციური გარემო, ფასილიტატორის პასუხისმგებლობები და მოსალოდნელი შედეგები. გაუგებარია რეკომენდაცია, როდესაც თავად ექსპერტები დასკვნის პროექტის 26-ე გვერდზე აღნიშნავენ, რომ *მეთოდების სპექტრი ზოგადად შეესაბამება განათლე ბის საფეხურსა და სფეროს და ფართოდასახავს საექთნო საქმის დარგობრივ მახასიათებელს.* გა

ნხილული სილაბუსები იძლევა სარწმუნო მტკიცებულებას იმისა, რომ რიგი მეთოდები ინტეგრ ირებულია უშუალოდ სასწავლო პროცესში.
7. რეკომენდებულია, პროგრამულ დონეზე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს მეთოდოლოგიური ჩარჩო PBL-ის, CBL-ის, TBL-ის, CBCR-ის, შებრუნებული საკლასო ოთახის, სიმულაციის, როლური თამაშისა და პაციენტის საწოლთან სწავლებისათვის. რეკომენდებულია, ჩარჩომ განსაზღვროს თითოეული მეთოდის არსებითი ელემენტები და უზრუნველყოს სახელმძღვანელო მითითებები შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში მათი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. რეკომენდაციას ვიზიარებთ.
8. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააერთიანოს, ოფიციალურად განსაზღვროს და დანერგოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი ყოვლის-მომცველი OSCE/OSPE-ის ჩარჩო, რომელიც მოიცავს გამოცდის სტრუქტურას, საექთნო საქმის სპეციფიკურ სადგურების სცენარებს, შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებს/ჩეკლისტებს, სტუდენტებისა და გამომცდელებისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს, ადმინისტრირების პროცედურებს და გამომცდელთა მომზადებას ერთიანი სტანდარტის შესაბამისად.
უნივერსიტეტს გააჩნია დიდი გამოცდილება OSCE/OSPE-ს ფორმატის გამოცდების ჩატარების დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგ-ლებში. რათქმაუნდა, შემუშავებული და დანერგილია OSCE/OSPE-ს შეფასების ფორმები (Checklists), საგამოცდო სქემა და ინსტრუქციები სტუდენტისა და გამომცდე-ლისთვის, რომლებიც განთავსე-ბულია სადგურებზე და რაც არაერთხელ დადასტურდა ექსპერტების მიერ სხვადასხვა ვიზიტის დროს. კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების ფორმა (Checklists) ასოცირებულმა პროფესორმა თამარ მოსულიშვილმა ინტერვიუს დროს წარუდგინა ექსპერტებს.
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ გასაჩივრების პროცედურა ოფიციალურად განასხვავებდეს ტექნიკურ გადამოწმებას შინაარსობრივი გადაფასებისგან და ითვალისწინებდეს, რომ სადავო შეფასების შინაარსობრივი გადახედვა განხორციელდეს დამოუკიდებელი შემფასებლის ან ორგანოს მიერ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი თავდაპირველ შეფასებაზე.
ტექნიკურ გადამოწმრებას გავმიჯნავთ აპელაციის პროცესისაგან. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს დეკანი განიხილავს პრობლემას საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო კურსის სხვა განმახორციელებელთან ერთად. მიღებული გადაწყვეტილება შეფასების შეცვლა/შენარჩუნების თაობაზე ფორმდება შესაბამისი ოქმით და ეცნობება სტუდენტს.
10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თეორიულ, ლაბორატორიულ და კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება არა მხოლოდ სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით, არამედ საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და საექთნო მზრუნველობის გეგმების შემუშავების მიმართულებითაც და უზრუნველყოს ასეთი ტრენინგების სათანადო დოკუმენტირება.
11. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად უზრუნველყოს, მონიტორინგი გაუწიოს და დოკუმენტურად აღრიცხოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება საექთნო საქმის მიმართულებით- მათ შორის საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და მოვლის დაგეგმვის მიმართულებით მომზადება; განსაკუთრებით იმ პერსონალის შემთხვევაში, რომლის ძირითადი პროფესიული მიმართულება მედიცინაა. რეკომენდებულია, პროგრამის თეორიულ და კლინიკურ განხორციელებაში სათანადოდ ჩართული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე საექთნო საქმის პროფესიონალთა საკმარისი რაოდენობა.
10-11 რეკომენდაციების პასუხი:
უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

2024–2026 წლებში ჩატარდა ტრენინგები არა მხოლოდ სწავლა/სწავლების და შეფასების თანამე დროვე მეთოდებში, არამედ „საექთნო განათლების მეთოდოლოგიურ პრინციპებშიც“.
რეკომენდაციის თანახმად პროგრამის პერსონალს დამატებით ჩავუტარებთ ტრენინგს საექთნო განათლების მეთოდოლოგიაში.
12. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დაადასტუროს, რომ პარტნიორი კლინიკური დაწესებულებების შესაძლებლობები, მათ შორის ხელმისაწვდომი განყოფილებები, სტუდენტებისთვის განსაზღვრული ადგილები და განრიგის დაგეგმვის პირობები, საკმარისია სტუდენტთა დაგეგმილი კონტიგენტისთვის და რომ ყველა სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გააროს სავალდებულო კლინიკური მომზადება. *კლინიკური დაწესებულებების ტევადობა (მათ შორის არსებული განყოფილებები, სტუდენტური ადგილები და სხვ.) დასტურდება კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელიც შესაბამისობაშია საექთნო საქმის დარგობრივ მახასიათებელთან (იხ. კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულების მუხლი/პუნქტი 3.)*
13. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სრულყოფილად დანერგოს OSCE/OSPE-ის ინფრასტრუქტურა და საოპერაციო მექანიზმები, მათ შორის უზრუნველყოს საგამოცდო სადგურები, აღჭურვილობა, ადმინისტრირება და ზედამხედველობა.
უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საექთნო საქმის პროგრამისთვის OSCE/OSPE ინფრასტრუქტურა, საგამოცდო სადგურები და აღჭურვილობა სიმულაციურ კლინიკაში, რაც დასტურდება ექსპერტთა დასკვნის პროექტით.
საგამოცდო პერიოდში ხდება სადგურების ორგანიზება და შესაბამისად გამოცდის ადმინისტრირება.
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს ექიმებისა და ექთნების როლები და პასუხისმგებლობები კლინიკურ სწავლებასა და შეფასებაში და უზრუნველყოს კვალიფიციური საექთნო პერსონალის სათანადო ჩართულობა საექთნო კომპეტენციების შეფასებაში. *დარგობრივი მახასიათებლის (6.1. პუნქტი. გვ 35) შესაბამისად კლინიკური დისციპ ლინების სწავლებაში ჩართულ პერსონალს აქვს საექთნო ან/და მედიცინის სფეროში გამოცდილება. პროგრამაში ჩართულია პერსონალი, რომელსაც აქვს გამოცდილება საექთნო სფეროში, მაგალითად: ნინო ოთარიშვილი (აქვს ფერშლის კვალიფიკაცია და 8 წლის ექთნად მუშაობის გამოცდილება), ნინო ფიფია (აქვს მედდის კვალიფიკაცია), გიორგი კეშელავა (აქვს 4 წლის ექთნად მუშაობის გამოცდილება), ანა ჭიპაშვილი (აქვს ზოგადი პროფილის მედდის კვალიფიკაცია და ექთნად მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება).*
15. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მკაფიოდ ასახოს და დაასაბუთოს პროგრამის, ფაკულტეტის ან ინსტიტუციური ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში და ოფიციალურად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ აღნიშნული რესურსები ადეკვატურად ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო როგორც განმეორებად, ისე ერთჯერად ხარჯებს, მათ შორის პერსონალის, კლინიკური სწავლების, სიმულაციური სწავლების, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, შეფასებისა და პერსონალის განვითარების ხარჯებს. 16. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაასაბუთოს, დოკუმენტურად ასახოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და მექანიზმები, მათ შორის განმეორებადი და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სხვა ინსტიტუციური რესურსებიდან პროგრამის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისი წყარო და აღნიშნული მხარდაჭერის საფუძველი მკაფიოდ უნდა აისახოს ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტაციაში.
15-16 რეკომენდაციების პასუხი:
აკრედიტაციის მე-4 სტანდარტის 4.5-ის პუნქტის შესაბამისად უნივერსიტეტში დამტკიცებულია ფაკულტეტის ბიუჯეტი, რაც წარდგენილი იყო. ექსპერტები თავად აღნიშნავენ, რომ „ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის თანახმად, აკრედიტაციის კრიტერიუმი ფინანსური დაგეგმვის განხორციელებას პროგრამის, ფაკულტეტის ან სკოლის დონეზე დასაშვებად მიიჩნევს და, შესაბამისად, არ მოითხოვს საექთნო საქმის პროგრამისთვის ცალკე, დამოუკიდებელი ბიუჯეტის არსებობას". (დასკვნაში: სტანდარტი 4.5. გვ.54).
17. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროგრამისა და სასწავლო კურსების დოკუმენტაციის შიდა განხილვის პროცესი, რათა უზრუნველყოს მკაფიო შესაბამისობა სწავლების მეთოდებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის. ვიზიარებთ რეკომენდაციას და აუცილებლად ვუზრუნველყოფთ მკაფიო შესაბამისობას სწავლების მეთოდებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
18. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების სისტემატური და დოკუმენტირებული ჩართულობა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, მათ შორის წარმოადგინოს მტკიცებულება, თუ როგორ გამოიყენება მათი უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას.
ვიზიარებთ რეკომენდაციას, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის (მოთხოვნის შესაბამისად) წარდგენილი იყო საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე სამუშაო ჯგუფის ოქმები, რომლებშიც ასახულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და უკუკავშირი პროგრამაზე მუშაობის პროცესში.
19. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად აღრიცხოს გამოვლენილი ხარვეზები, გაუმჯობესების ღონისძიებები და შემდგომი მონიტორინგის შედეგები PDCA ციკლის ფარგლებში, რათა დადასტურდეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობა. *PDCA ციკლი (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე/შეცვალე) წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფუნდამენტურ საფუძველს. ეს არის უწყვეტი მონიტორინგის და ანალიზის მექანიზმი, რომელიც სისტემატურად გამოიყენება შემდგომში საუნივერსიტეტო სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის და განვითარების მიზნით."*

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა თამარ ხურცილავამ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები საკმაოდ ფართო და ამბიციურია. მას აინტერესებდა, რამდენად რეალისტური იყო ყველა სწავლის შედეგის მიღწევა სტუდენტის მიერ. ის ასევე დაინტერესდა პროგრამაში რამდენი ექთანი იყო ჩართული. ასევე, როგორც მან აღნიშნა, გარკვეულ სილაბუსებში ინგლისური ენის დონედ მითითებულია B1 და მას აინტერესებდა, სილაბუსებში აღნიშნული თემების გავლა რამდენად იყო შესაძლებელი B1 დონის ცოდნით. მისი მეოთხე კითხვა უკავშირდებოდა პრაქტიკებს. მას აინტერესებდა, რამდენად იყო დაწესებულებაში პრაქტიკების გავლის შესაძლებლობა და რამდენად ჰქონდათ მზაობა იმ კლინიკებს, რომლებთანაც კონტრაქტები იყო გაფორმებული.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ B1 დონე დარგობრივი დოკუმენტით არის განსაზღვრული და შესაბამისად, დაწესებულება მიჰყვება ამ დოკუმენტს. სტუდენტებს ამ დონით იმ თემების დაძლევა შეუძლიათ, რომლებიც მითითებულია სილაბუსში. რაც შეეხება კლინიკებს, მისი თქმით, რამდენიმე წელია მედიცინის დარგობრივმა დოკუმენტმა მოითხოვა ხელშეკრულებებში პუნქტების დამატება, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტთა კონტინგენტს, განმახორციელებლის ვინაობას, რა გარემოში წარიმართება სწავლება და ა.შ. რაც შეეხება პერსონალს, საექთნო პროგრამის დარგობრივი

ჩარჩოს მიხედვით, კლინიკური დისციპლინების სწავლებაში ჩართულ პერსონალს უნდა ჰქონდეს საექთნო ან მედიცინის სფეროში გამოცდილება. შესაბამისად, ამ კომპონენტს დაწესებულება აკმაყოფილებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის 13 შედეგი განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. იგი მოიცავს როგორც ექთნის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალის, საქმიანობას, ისე მის უნარებს, მონაწილეობა მიიღოს კვლევით საქმიანობაში და დამოუკიდებლად შეძლოს პაციენტის შეფასება საექთნო კვალიფიკაციის ფარგლებში. რაც შეეხება სილაბუსებს, დაწესებულება შეეცადა, ეს პროგრამა შეექმნა ინტეგრირებული სახით: დაწყებული საბაზისო ეტაპიდან, ის ეტაპობრივად გადადის კლინიკურ და პრეკლინიკურ ეტაპებზე. პრეკლინიკური სწავლება ხორციელდება საექთნო საქმისთვის სპეციალურად შექმნილ კლინიკაში, რომელიც გამიჯნულია სამედიცინო ფაკულტეტისგან.
დაწესებულებას აქვს ორი სამედიცინო სიმულაციური სივრცე, საიდანაც ერთ-ერთი ეთმობა საექთნო საქმის პრეკლინიკურ ეტაპს, რომლის შემდგომი განმტკიცებაც კლინიკებში ხდება. მე-7 და მე-8 სემესტრები მთლიანად ეთმობა კლინიკებში პრაქტიკას. რაც შეეხება პერსონალის გამოცდილებას, ერთი ასოცირებული პროფესორია ამ მიმართულებით. ამასთან, განყოფილებაში ექთანი არასდროს მიდის მოუწესრიგებელი. ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადის სასწავლო უნარ-ჩვევების სწავლებას უფროსი ან პროფესიონალი ექიმის მეთვალყურეობით და შემდგომში მის კვალიფიკაციას ექიმიც ამოწმებს. შესაბამისად, შეფასება ექთნისა და ექიმის მიერ შემოწმების შედეგად იწერება.
საბჭოს წევრმა თინათინ გოგნაძემ მემორანდუმებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მემორანდუმებში არის ინფორმაცია, რომელიც ნაწილობრივ ფარავს მედიცინის ინფორმაციას, რადგან განმახორციელებელი პერსონალი საერთოდ არ არის უშუალოდ საექთნო პროგრამაში ჩართული. მას აინტერესებდა, რამდენად ეხებოდა მემორანდუმები ცალკე საექთნო მიმართულებას. ასევე, რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში, მემორანდუმის თანახმად, 480 სტუდენტის მიღება ხდება წლიურად და მას აინტერესებდა, ეს მხოლოდ საექთნო მიმართულებას ეხებოდა თუ სამედიცინო მიმართულებასაც. ასევე, სიმულაციურ კლინიკაში, რომელიც საექთნო მიმართულებისთვის გამოიყენება, რამდენი ოთახია და არის თუ არა ლაბორატორიებიც დაყოფილი. ამასთან, ლიტერატურაც ფარავს მედიცინის მიმართულებას და მას აინტერესებდა, რამდენად მიზანშეწონილია ამ მასალის სწავლა საექთნო მიმართულებისთვის. ასევე, პირველ სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი „ანატომია-ჰისტოლოგია“, სილაბუსში კი ცალ-ცალკეა თემები ჩაშლილი. მას აინტერესებდა, ეს ორი საგანი ერთად ისწავლება თუ ცალ-ცალკე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულებები კლინიკებთან წლებია გაფორმებულია. სტუდენტთა აღნიშნული რაოდენობა მოიცავს როგორც საექთნო, ისე სამედიცინო მიმართულების სტუდენტებს და დოკუმენტში მითითებულია შესაბამისი რაოდენობები. პროგრამაზე 20 სტუდენტი მიიღება, შესაბამისად, 480-ში იგულისხმება ორივე მიმართულება. უნივერსიტეტს აქვს ყველა სახის ლაბორატორია, რომელიც ექსპერტებმა დაათვალიერეს და ნახეს. დაწესებულება თვლის, რომ ლაბორატორია უნდა იყოს სასწავლო მასალებით უზრუნველყოფილი, რათა უზრუნველყოს სასწავლო პროცესი. ისინი აკმაყოფილებენ სამედიცინო რესურსების მოთხოვნებს და მით უმეტეს, საექთნო პროგრამისთვის მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. როგორც მან აღნიშნა, ბევრ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმება, თუმცა არის გარკვეული საკითხები, რომლებსაც ვერ იზიარებს. მაგალითად, პირველი ორი რეკომენდაცია შინაარსობრივად იდენტურია. ასევე, მეთოდოლოგია მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაზეც დეკანატები მუშაობენ და მრავალ ეტაპს გადის, სანამ რაოდენობა განისაზღვრება. ასევე, რეკომენდებული იყო უცხოელი და ქართველი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა, რაც შეუძლებელია. წინასწარ დაწესებულება ვერ განსაზღვრავს, რამდენ უცხოელ და რამდენ ქართველ სტუდენტს მიიღებს. ასევე, მესამე

რეკომენდაციასთან მიმართებით აღინიშნა, რომ ექსპერტები დაწესებულებას ედავებიან კლინიკური საკონტაქტო საათების დარგობრივ მახასიათებელთან აცდენას. თუმცა, ეს ასე არ არის. დარგობრივ მახასიათებელში მითითებულია, რომ გამოყოფილი საათების მესამედი უნდა იყოს თეორიული სწავლება, ხოლო ნახევარი უნდა იყოს კლინიკური სწავლების კომპონენტი.
რექტორის მოადგილემ ალექსანდრე ლოლაძემ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის დონისა და მედიცინის დონის შედარება არ არის სწორი. ის წიგნები, რომლებიც შერჩეულია პროგრამისთვის, მაქსიმალურად საექთნო პროგრამისთვისაა გათვლილი. ეს არის საბაკალავრო პროგრამა და კურსდამთავრებული სვამს სინდრომულ დიაგნოზს, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული ლიტერატურა და დონე. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სიმულაციური ცენტრი და ეს არის სპეციალურად საექთნოსთვის შექმნილი. ოთახების რაოდენობა არის 3.
საბჭოს წევრმა თეა ნარეკიშვილმა აღნიშნა, რომ გაცვლითი პროგრამებისთვის სტუდენტს B2 დონე უნდა ჰქონდეს. 4 სემესტრის განმავლობაში დაწესებულება ასწავლის სტუდენტს ქართულ ან გერმანულ ენას. მას აინტერესებდა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ინგლისური ენის დამატებით სწავლება, რათა სტუდენტებს საექთნო საქმე B2 დონეზე დაემთავრებინათ. ასევე, მემორანდუმი გაფორმებულია მენტალური ჯანმრთელობის კლინიკებთან და ამ შემთხვევაში სტუდენტს ფსიქოსოციალურ საფრთხეებთანაც უწევს გამკლავება. შესაბამისად, მას აინტერესებდა, რამდენად მზად იყვნენ სტუდენტები ამისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლის მეექვსე გვერდზე აღნიშნულია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მინიმუმ B1 დონის ცოდნაა საჭირო. სწორედ ამის მიხედვით გაიწერა პროგრამის წინაპირობა. როდესაც სტუდენტი სწავლობს ინგლისურენოვან პროგრამაზე, იქვე იუმჯობესებს ენას. ქართველ სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს, შეთავაზებული აქვს გერმანული ენა, ხოლო უცხოელს - ქართული. კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა, რომ გერმანული ენა საჭირო იყო, ამიტომ ჩასვეს პროგრამაშიც. კლინიკის წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ ქართული ენა იყო გასაძლიერებელი უცხოენოვან სტუდენტებში, რადგან კლინიკური სწავლების დროს აუცილებელია კომუნიკაცია პაციენტებთან.
პროგრმის ხელმძღვანელმა ნინო ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ უცხოელებმა, რომლებიც აბარებენ პროგრამაზე, უცხო ენა იციან კარგად და მათ აღარ სჭირდებათ დამატებით ინგლისური ენის გავლა. სწავლის პროცესში არასდროს ყოფილა უცხოელი სტუდენტი, რომელსაც ინგლისურ ენასთან პრობლემა ჰქონოდა.
რაც შეეხება ქართულს, აუცილებელია, პრაქტიკანტმა იცოდეს ქართული პაციენტთან კომუნიკაციის დროს. ამიტომ, საბაზისო დონეზე, პირველი 4 სემესტრი უცხოელი სტუდენტები სწავლობენ ქართულს.
გერმანულ ენაზეც იყო მოთხოვნა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან, ამიტომ ქართველი სტუდენტებისთვის შეირჩა ეს ენა.
საბჭოს წევრმა ფრიდონ გოგიაშვილმა ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში ხაზგასმულია, საექთნო საქმისთვის დაწესებულებამ განსაზღვროს ფინანსები და მას აინტერესებდა, რა გეგმა აქვს ამისთვის დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის 4.5 ქვესტანდარტის მიხედვით, დაწესებულებას მოეთხოვება საგანმანათლებლო პროგრამის, ან კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის, ან ფაკულტეტის, ან სკოლის ბიუჯეტი. დაწესებულებამ წარადგინა ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც სრულიად უზრუნველყოფს 20 სტუდენტს და არა მხოლოდ.
ექსპერტებმა დაათვალიერეს ინფრასტრუქტურაც და თავად ნახეს, რომ ყველაფერი არის მწყობრში და სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ ვალიაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით გაიცა 2 რეკომენდაცია, თუმცა ისინი ერთი და იგივე არ არის. პირველ

რეკომენდაციაში რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მკაფიოდ ასახოს და დაასაბუთოს პროგრამის, ფაკულტეტის ან ინსტიტუციური ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში და ოფიციალურად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ აღნიშნული რესურსები ადეკვატურად ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო როგორც განმეორებად, ისე ერთჯერად ხარჯებს, მათ შორის პერსონალის, კლინიკური სწავლების, სიმულაციური სწავლების, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, შეფასებისა და პერსონალის განვითარების ხარჯებს.
უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს საექთნო ფაკულტეტის ბიუჯეტი და საკმარისი ფინანსური რესურსი, თუმცა არ ჩანს, რა ბიუჯეტი იქნება გათვალისწინებული კონკრეტულად საექთნო საქმის პროგრამისთვის. დოკუმენტებში არ ჩანს, რომ წინასწარ არის გათვლილი ყველა ხარჯი. ხოლო მეორე რეკომენდაციაში რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაასაბუთოს და დოკუმენტურად ასახოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და მექანიზმები, მათ შორის განმეორებადი და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სხვა ინსტიტუციური რესურსებიდან პროგრამის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისი წყარო და აღნიშნული მხარდაჭერის საფუძველი მკაფიოდ უნდა აისახოს ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტაციაში. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა ინტერვიუებიდან და იმ პასუხებიდან, რომლებიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ იყო გაცემული. ეს იმას არ გულისხმობს, რომ დაწესებულებას არ გააჩნია მხარდაჭერის მექანიზმები, არამედ იმას, რომ ისინი საკმარისად ფორმულირებული არ არის. ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ თუ პრობლემა შეიქმნებოდა ფინანსური თვალსაზრისით, ამას შეავსებდნენ სხვა პროგრამის ბიუჯეტით, თუმცა ეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერად არ უნდა იყოს, ეს დოკუმენტურად უნდა გაიწეროს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ჯერ პროგრამა არ განხორციელებულა და როდესაც დაიწყებს განხორციელებას, დეტალურად ჩაიშლება ეს ყოველივე, რადგან ახლა უცნობია, რამდენი სტუდენტი ეყოლება პროგრამას.
საბჭოს წევრს ლევან ციცქიშვილს აინტერესებდა, რამ განაპირობა 20 სტუდენტის განსაზღვრა და არა უფრო მეტი და სად იყო ასახული ეს რაოდენობა, რადგან არც თვითშეფასების დოკუმენტშია მითითებული და არც პროგრამაში. ასევე, აინტერესებდა, უშუალოდ რამდენ საათს ატარებდა სტუდენტი პაციენტთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია მეთოდოლოგია სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისთვის და ეს დამტკიცებულია საბჭოებზე. რაც შეეხება კლინიკებს, რა თქმა უნდა, სილაბუსებში ყველა საათია გაწერილი, სად და როგორ ხორციელდება სწავლება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ალექსანდრე ლოლაძემ აღნიშნა, რომ კლინიკური მეცადინეობები მაქსიმალურად არის გაწერილი კურიკულუმში. თუმცა, უშუალოდ პაციენტთან ურთიერთობისთვის საათები გამოყოფილი არ არის, რადგან კლინიკური პრაქტიკების დროს ეს დაწვრილებით ვერ გაიწერება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ ერთი საათი ტარდება ლექცია და 3-4 საათის განმავლობაში მიმდინარეობს სემინარი. რაც შეეხება კლინიკაში პრაქტიკებს, იქ მითითებულია, რომ 6 საათი მიმდინარეობს კლინიკაში პრაქტიკა. წინასწარ იმის გაწერა, თუ რამდენ ხანს უწევს პაციენტთან კონტაქტი სტუდენტს, შეუძლებელია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ყველა კლინიკური საგანი დაზუსტებულია, რომელ კლინიკებში ხორციელდება და ეს მკაცრად არის გაწერილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები პრაქტიკებამდე გადიან საგნებს, სადაც თეორიულად სწავლობენ ყველა საჭირო ინფორმაციას. ამიტომ, კლინიკაში შესვლისას, მან უკვე იცის, რა თანმიმდევრობით ხდება ხელების დაბანა, სტერილიზაცია და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ ვალიაშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი დოკუმენტით კლინიკური სწავლების საათები უნდა იყოს არანაკლებ 2300 საათისა. ეს არის საათები, რომლებიც სტუდენტმა უნდა გაატაროს კლინიკურ გარემოში და არა სიმულაციურ ცენტრში. აქ არ მოიაზრება სემინარები, რომლებიც მითვლილი აქვს დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დარგობრივ მახასიათებელში მითითებულია კლინიკური სწავლების კომპონენტი და მოცემულია კლინიკური სავალდებულო საგნები 130 კრედიტის ოდენობით, რაც მოიცავს 3250 საათს, რასაც დაწესებულება აკმაყოფილებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ კლინიკური სწავლება მოიცავს ლექციასაც და სემინარსაც, თუმცა დაწესებულება ცდილობს, სტუდენტმა რეალურ გარემოში იმუშაოს და რეალური ქეისების განხილვით ისწავლოს. რაც შეეხება საათების გაწერას, ზუსტად ვერავინ გათვლის, რამდენ საათს ატარებს საწოლთან და რამდენს სამანიპულაციოში.
საბჭოს წევრი, მაია ბარბაქაძე დაინტერესდა, სად ხდებოდა სწავლა რუსთავში თუ თბილისში და რუსთავში რამდენად უხდებოდა ექთანს ინგლისურენოვან გარემოში მუშაობა. ამასთან, მას აინტერესებდა, უზრუნველყოფდა თუ არა უნივერსიტეტი სტუდენტის რუსთავში წაყვანასა და მოყვანას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მდებარეობს ორთაჭალაში. რუსთავში ხორციელდება რამდენიმე საკურაციული კურსი და უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, 20 სტუდენტი უზრუნველყოს ტრანსპორტირებით. რაც შეეხება პერსონალს, ყველა დეტალი გაწერილია ხელშეკრულებებში და მკაცრად არის განსაზღვრული, რომ B2 დონის ცოდნაა სავალდებულო მათთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:57
დასრულების დრო: 13:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს უნივერსიტეტ გეომედ-ის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლით და 3 თვის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3, მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს უნივერსიტეტი გეომედის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლით და 3 თვის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 აგვისტოდან. საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

მე - 3 საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

მე - 4 საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფოტოხელოვნება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში;
დეტალური სფეროს კოდი - 0211 აუდიო-ვიზუალური ტექნიკა/მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - გრაფიკული დიზაინი
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში
დეტალური სფეროს კოდი - 0211 აუდიო-ვიზუალური ტექნიკა/მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება
კრედიტი - 180

საბჭოს სხდომას მესამე საკითხიდან შემოუერთდა გიორგი წანაწყენიშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და

საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფოტოხელოვნების" და "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მე-3 და მე-4 საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგთან დაკავშირებით, ექსპერტები იმყოფებოდნენ დაწესებულებაში.
"ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განსაზღვრული იყო პირველი სტანდარტის, მეორე სტანდარტის 2.4 კომპონენტის, მეოთხე სტანდარტის 4.3 და 4.4 კომპონენტების, ხოლო მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.3 კომპონენტების აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შემოწმება. ხოლო, "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით შემოწმდა პირველი სტანდარტი, მეოთხე სტანდარტის 4.3, 4.4 და 4.5 კომპონენტები, ხოლო მეხუთე სტანდარტიდან - 5.1 კომპონენტი.
ორივე პროგრამისთვის განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა.
"გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, მეორე სტანდარტი შესაფასებელ სტანდარტებში მოცემული არ იყო, თუმცა დოკუმენტაციის გაცნობისას ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ გარკვეული შეუსაბამისობა არსებობდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესსა და არსებულ პრაქტიკას შორის, რომელიც წინა აკრედიტაციის დროსაც დასტურდებოდა. აღნიშნული საკითხი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი, თუმცა რეკომენდაცია მაინც დარჩა, რადგან აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.
დაწესებულებისთვის გაცემული იყო 19 რეკომენდაცია და ყველა მათგანი შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული და შესრულებულია. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, ეს ხარვეზი ჩასწორებულია და მიწოდებულია საბჭოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა შალვა კელეპრტიშვილმა აღნიშნა, რომ გრაფიკულ დიზაინში 24 საგანი გადის ერთ სწავლის შედეგზე და დაინტერესდა, რამდენად რელევანტური იყო სწავლის შედეგების რუკა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან ერისთავმა აღნიშნა, რომ ბოლო მონიტორინგის შემდეგ აღნიშნული რუკები შესწორდა და აღნიშნული საკითხი უკვე დაზუსტებული და შესწორებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:13
დასრულების დრო: 13:21

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან ამოიღო სტანდარტის 2.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3-ის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“-ს მიხედვით) შესაბამისად." შედეგად, სტანდარტის, 2.4 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მეორე სტანდარტის საერთო შეფასების ცვლილებაც, რომლის შესაბამისადაც, მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან ამოიღო სტანდარტის 2.4. კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3-ის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“-ს მიხედვით) შესაბამისად." შედეგად, სტანდარტის, 2.4 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მეორე სტანდარტის საერთო შეფასების ცვლილებაც, რომლის შესაბამისადაც, მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მე-5 საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

მე-6 საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ფილოლოგია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ლიტერატურა
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი,** ქართული ლიტერატურის მაგისტრი. **II ნაწილი,** კვლევის მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში.
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა.
კრედიტი - I ნაწილი - 60 ECTS, II ნაწილი - 60 ECTS.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო და „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მე-5 და მე-6 საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველმა საგანმანათლებლო პროგრამებმა აკრედიტაცია გაიარეს კლასტერულად. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეხებოდა პირველ სტანდარტს, ხოლო რეკომენდაციათა ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებს. მისი თქმით, დადგენილ ვადაში დაწესებულებამ წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ სრული ინფორმაცია. ექსპერტებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინეს, რომ დაწესებულებამ სრულად შეასრულა რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ ბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად შეასრულა რეკოემნდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს შეკითხვები არ ჰქონია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:27
დასრულების დრო: 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მე-7 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სამოსის დიზაინი
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** დიზაინის მაგისტრი, **II ნაწილი,** კვლევის მაგისტრი მოდის დიზაინში
დეტალური სფეროს კოდი - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი
კრედიტი - I ნაწილი - 60 ECTS; II ნაწილი - 60 ECTS

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-7 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რჩევა და რეკომენდაცია სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ 1+1 პროგრამა უკვე გაკეთებულია და კონკურენციაც საკმაოდ დიდია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ გაცემულია რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ერთერთი ხელმძღვანელი არის მხატვარი, ხოლო მეორე ხელმძღვანელი თავად არის. თანახელმძღვანელი, როგორც წესი, არის ტექნოლოგი, რომელიც სტუდენტს მასალაში მუშაობას ასწავლის.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა, რომელ აკადემიურ ხარისხზე იყო საუბარი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო დოქტორის ხარისხზე, თუმცა აღინიშნა, რომ ისინი თანახელმძღვანელები არიან. მისი მოსაზრებით, ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა თანახელმძღვანელებთან ერთად მუშაობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:40
დასრულების დრო: 13:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭომ სტანდარტის 4.2 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს აკადემიური ხარისხი." გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: "სასურველია, პროგრამაზე მიღების ზრდის კვალდაკვალ, დაწესებულებამ იზრუნოს დარგში მეტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი პერსონალის მოზიდვაზე." შედეგად, სტანდარტის 4.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მე-8 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

მე-9 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო შემსრულებლობის (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშემსრულებლო ხელოვნების მაგისტრი (კლავიშიანი საკრავები; ვოკალი; სიმებიანი საკრავები; ჩასაბერი საკრავები)
დეტალური სფეროს კოდი - 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
კრედიტი - 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის

ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო და "სამუსიკო შემსრულებლობის (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მე-8 და მე-9 საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოეხმაურა ყველა რეკომენდაციას და აქტიურად იყო ჩართული პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობას ეხებოდა. მას აინტერესებდა აღნიშნული მიმართულებით თუ ჰქონდა დაწესებულებას აქტივობები.
ექსპერტმა, რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა სამსახიობო ხელოვნების მიმართულებით, რადგან ექსპერტებს არსებული აქტივობები არასაკმარისად მიაჩნდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადი აქტივობები, რაც განხორციელდა, იყო საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა, რომლებშიც სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.
საბჭოს წევრმა, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ ნახა წარმოების მასალებში.
ექსპერტმა, რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტები CV-ების სახით იყო წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპრიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების რუკა ლოგიკური ბმით არ არის აგებული. მას აინტერესებდა ექსპერტის აზრი ამასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, რუსუდან თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ, პირიქით, დაწესებულებას სწავლის შედეგების რუკები კარგად ჰქონდა აგებული.
საბჭოს წევრმა, თეა ნარეკიშვილმა სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, მაგალითად, მსახიობის ოსტატობის შემთხვევაში, სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია, რომ სტუდენტების 70–80% დასკვნით გამოცდაზე 40 ქულიდან 36–38 ქულას მიიღებს. მას აინტერესებდა, თუ სტუდენტი 40 - დან 35 ქულას აიღებს, მიაღწევს თუ არა სამიზნე ნიშნულს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ, თუ სტუდენტმა აღნიშნული ქულა ვერ მიიღო, ამაზე უკვე ხარისხის სამსახური ახდენს რეაგირებას. საბოლოო შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკა აძლევს დაწესებულებას ამ შედეგის ზღვრის განსაზღვრის საშუალებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:59
დასრულების დრო: 14:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

ა) საბჭომ სტანდარტის 1.2 კომპონენტთან მიმართ გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდირებულია, მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება." გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: "სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება." შედეგად, სტანდარტის 1.2. კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულ ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც " შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან."
ბ) საბჭომ სტანდარტის 4.3 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია: "დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობების სიმწირე.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აუცილებელია პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ზოგადი მიმართულებით, ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას ტრენინგების, ვორქშოფების, მასტერკლასების სახით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე." გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: "დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობების სიმწირე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ზოგადი მიმართულებით, ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას ტრენინგების, ვორქშოფების, მასტერკლასების სახით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე." შედეგად, სტანდარტის, 4.3. კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო შემსრულებლობის (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესასრულებლად.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს "სამუსიკო შემსრულებლობის (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)" საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

დაწესებულებას დაევალა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

მე-10 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კულტურული ტურიზმი
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-10 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა შემოწმდა ვიზიტის გარეშე. შემოწმდა მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტი და ასევე მეოთხე სტანდარტის 4.1. კომპონენტი. რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა შალვა კელეპტრიშვილმა სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგიერთი საგანი პირველივე სემესტრში გადის განმტკიცებაზე, ხოლო ბოლო სემესტრში გაცნობაზე.
ექსპერტმა, ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში გამოტანილია 8 შედეგი. თითოეულ მათგანზე სწორად არის დასმული და მითითებული კომპონენტების გაცნობის/გაღრმავების/განმტკიცების კომპონენტი.
საბჭოს წევრი შალვა კელეპრიშვილი დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია ტურიზმის საფუძვლების საგანი იწვევდეს სწავლის შედეგის განმტკიცებას.
ექსპერტმა, ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ, ტურიზმის საფუძვლები არის ის სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს ამომწურავ ინფორმაციას აძლევს და ეს სასწავლო კურსი შეიძლება გადიოდეს განმტკიცებაზე სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრმა, თეა ნარეკიშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში სასწავლო კურსის სახელწოდებაა შესაცვლელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:14:14
დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მე-11 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტელე-რადიო ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ტელე-რადიო ჟურნალისტიკა
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-11 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი და სწავლების მეთოდოლოგია შესაბამისობაშია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ პროგრამა ძველი სტრუქტურით იყო წარმოდგენილი. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების რუკის მეტად დახვეწას. მისი თქმით, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებზე უნივერსიტეტს მაღალი სტანდარტი აქვს დაწესებული, რომელიც ოპტიმისტურად გამოიყურება, თუმცა საჭიროა, რომ უფრო რეალისტური გახდეს. ასევე მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომისა და საწარმოო პრაქტიკის განხილვა. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრი, რომელიც ორიენტირებულია საწარმოო პრაქტიკასა და რადიოჟურნალისტიკაზე, თუმცა მასობრივი კომუნიკაცია მხოლოდ ამ სფეროებს არ მოიცავს და დაწესებულებამ უნდა განავრცოს სხვა მიმართულებებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელმა ირინა ყურუამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არის კომპლექსური და მხოლოდ პრაქტიკაზე არ არის ორიენტირებული. საბაკალავრო ნაშრომი აგებულია ვიდეოზე, თუმცა სტუდენტი ასევე აბარებს თეორიულ ნაშრომს. აჭარის ტელევიზია უმთავრესად დაკომპლექტებულია ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებით. დაწესებულების მიერ მომზადებულ კურსდამთავრებულს, სხვებთან შედარებით, უკეთ შეუძლია პრაქტიკულად ლავირება.
ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ საბოლოო პროექტი მიმართულია რადიოჟურნალისტიკისკენ. თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამასთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ყველა სასწავლო კურსს გადიან და ახალ პროგრამაშიც არის შეტანილი ეს ყველაფერი.
ექსპერტმა, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო როგორც საბაკალავრო კომპონენტზე, ისე პრაქტიკაზე. რიგი საკითხები შესაცვლელია.
საბჭოს თავმჯდომარესლევან შავაძეს აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წარმოდგენილი სამწლიანი პროგრამა.
ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს დამატებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:29
დასრულების დრო: 14:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტელე - რადიო ჟურნალისტიკის" საბაკალავრო პროგრამისთვის 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესასრულებლად.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს "ტელე - რადიო ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

საბჭომ არ გაიზიარა სტანდარტის 1.4. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდირებულია, პროგრამის მოცულობა შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ რეგულაციასთან (180–200 ECTS) კურიკულუმის შინაარსობრივი და სტრუქტურული ოპტიმიზაციის გზით." შედეგად, სტანდარტის 1.4. კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

მე - 12 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი

დეტალური სფეროს კოდი - 0213 სახვითი ხელოვნება
კრედიტი - 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე - 12 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ქავთარიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. ყველა სტანდარტის ყველა კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, პირველი და მესამე დაწესებულებამ გაიზიარა, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი დაწესებულებამ წარმოადგინა საფუძვლიანი განმარტება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში მითითებულია, რომ „სასურველია", რაც რეკომენდაციას რჩევის ხასიათს ანიჭებს, მისი თქმით ეს ალბათ ტექნიკური ხარვეზით იყო განპირობებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:38
დასრულების დრო: 14:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" სამაგისტრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭომ სტანდარტის 1.3. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ უფრო სისტემურად წარმოაჩინოს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზზე დაფუძნებული გაუმჯობესების პრაქტიკა, მათ შორის მიღებული შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტირება." გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: "სასურველია, რომ პროგრამამ უფრო სისტემურად წარმოაჩინოს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზზე დაფუძნებული გაუმჯობესების პრაქტიკა, მათ შორის მიღებული შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტირება." შედეგად, სტანდარტის 1.3. კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვევია პირველი სტანდარტის საერთო შეფასების ცვლილება შემდეგი სახით - ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან " შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მე - 13 საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - აუდიოვიზუალური ხელოვნება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.
დეტალური სფეროს კოდი - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება, 0211
კრედიტი - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს მდივანმა, ვაჟა კელიხაშვილმა. მე-13 საკითხიდან საბჭოს სხდომის მდივანის ფუნქცია შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამის დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-13 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ნიკურაძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის ვიზიტი არ განხორციელებულა, ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.
პროგრამა ძირითადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები და შედეგები მეტწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული და უკავშირდება პროგრამის შინაარსს. პროგრამა აგებულია თანმიმდევრული პრინციპით და უზრუნველყოფს სტუდენტთა თეორიული ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ხოლო სწავლებისა და შეფასების სისტემა მთლიანობაში ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე.
ამასთან, შეფასების პროცესში გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა გაუმჯობესება კვლავ საჭიროა, მათ შორის: სასწავლო კურსების სილაბუსებში თემატური და შედეგობრივი გადაფარვის შემცირება, სალექციო და პრაქტიკული კომპონენტების მკაფიო გამიჯვნა, თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურის განახლება, ცალკეული კურსების შინაარსობრივი დაზუსტება და პროგრამის აკადემიური და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტებმა ნაწილობრივ გაიზიარეს, თუმცა წარმოდგენილი პოზიცია ძირითადად სამომავლო გეგმებზეა დაფუძნებული.

პროგრამა მთლიანობაში შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში არსებული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. გაიცა 10 რეკომენდაცია და 13 რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა ხალვაშმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაციები, რადგან ეს ეხებოდა მილევად რეჟიმში მყოფ პროგრამას. რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკული და სალექციო დროების გამიჯვნას, რაც განხორციელდა. განახლდა ლიტერატურაც, პროგრამა გაიყო და შეიცვალა სასწავლო მასალაც.
რაც შეეხება სათაურების კორექტირებას, კინოსა და ტელევიზიის ისტორიას შეეცვალა სახელწოდება და გახდა ტელევიზიის ისტორია. შესაბამისად, სილაბუსი მთლიანად ტელევიზიაზე აიწყო.
უცხოელ და აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით მან აღინიშნა, რომ ბათუმში ძალიან ბევრი ფესტივალი ტარდება, რასთანაც დაწესებულებას მჭიდრო კავშირი აქვს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება იწვევს უცხოელებს, რომლებიც ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა კავშირის გაღრმავებას შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან და კინოს უნივერსიტეტთან. აღინიშნა, რომ დაწესებულებას მათთან და მათი ხარისხის სამსახურთან ყოველთვის ახლო ურთიერთობა აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს დამატებით კითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:54
დასრულების დრო: 14:56

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 კალენდარული დღის ვადა.

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

მე - 14 საკითხი: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

მე - 15 საკითხი: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

მე - 16 საკითხი: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი; **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში.
დეტალური სფეროს კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - I ნაწილი - 60 ECTS; II ნაწილი - 60 ECTS.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი; **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში.
დეტალური სფეროს კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - I ნაწილი - 60 ECTS; II ნაწილი - 60 ECTS.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - დოქტორანტურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
დეტალური სფეროს კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - 60 ECTS.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა თეა ნარეკლიშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა სამივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში

მე - 14, მე - 15 და მე - 16 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ჯამში შეფასდა 3 პროგრამა. "ბიზნეს ადმინისტრირების" ინგლისურენოვან და ქართულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გაცემული იყო 7 რეკომენდაცია და დაწესებულებამ შვიდივე რეკომენდაცია გაითვალისწინა. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას, გაცემული იყო 6 რეკომენდაცია და 5 რეკომენდაცია არის გათვალისწინებული, მეექვსე რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ. რეკომენდაცია ეხებოდა ჩარიცხვის წინაპირობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტს. სადოქტორო პროგრამაზე დაწესებულებას წამოეწია ჩარჩო დოკუმენტი და დაწესებულებას ეს ყველაფერი უკვე გათვალისწინებული აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს დამატებით კითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:01
დასრულების დრო: 15:05

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მე - 17 საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართველური ენათმეცნიერება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** - ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი; **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი ქართველური ენათმეცნიერებაში.
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
კრედიტი - I ნაწილი - 60 ECTS; II ნაწილი - 60 ECTS.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა ფრიდონ გოგიაშვილმა. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-17 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტმა, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს. გაცემული იყო 1 რეკომენდაცია და 1 რჩევა, რომელიც გაიზიარა დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებას კომენატრი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობები არცერთ საგანს არ აქვს განსაზღვრული, ის დაინტერესდა აღნიშნული ტექნიკური საკითხით ხომ არ იყო განპირობებული.
"ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ეკატერინე დადიანმა აღნიშნა, რომ არის გარკვეული კურსები, რომლებსაც აქვთ დაშვების წინაპირობა და ეს არის ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მე-18 საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საერთაშორისო ურთიერთოებები და სამხედრო დიპლომატია
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **I ნაწილი** - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი; **II ნაწილი** - კვლევის მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში.
დეტალური სფეროს კოდი - 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
კრედიტი - I ნაწილი - 60 ECTS; II ნაწილი - 60 ECTS.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

აღნიშნულ საკითხზე თვითაცილება განაცხადა მაია ბარბაქაძემ. თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-18 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა, თინათინ ქაროსანიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამას 5 სტანდარტიდან 4 - ში ჰქონდა სრული შესაბამისობა, ხოლო ერთში - მეტწილად შესაბამისობა. სულ გაიცა 6 რჩევა და 6 რეკომენდაცია, რომლებიც პირველ სტანდარტს უკავშირდებოდა.
ანგარიშის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტებს. 2026 წელს პროგრამას შეეცვალა სახელი და სწორედ სახელის ცვლილებას დაუკავშირდა რეკომენდაციებიც. პროგრამას შეეცვალა სახელი, თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაცია იგივე დარჩა. ასევე მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რჩევების ნაწილიც შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებას კომენატრი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, შალვა კელეპრტიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობა პროგრამაში განსაზღვრული ჰქონდა არჩევით სასწავლო კურსებსაც, მისი თქმით, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, დაშვების წინაპირობების განსაზღვრის ნაწილში, აქცენტი გაკეთებულიყო მხოლოდ ძირითად სასწავლო კურსებზე.
ექსპერტმა, თინათინ ქაროსანიძემ აღნიშნა, რომ, თუ წინაპირობად მხოლოდ ძირითადი საგნები დარჩება, შესაძლოა, შესაბამისი კრედიტების დაგროვება ვერ მოხდეს. ასევე, მათ პროგრამაში რეგიონების მიხედვით აქვთ არჩევითი კურსებიც. თუ სტუდენტს ჩინეთის დიპლომატიაზე საბაკალავრო პროექტის გაკეთების სურვილი აქვს, მან აუცილებლად უნდა გაიაროს ეს არჩევითი კურსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:23
დასრულების დრო: 15:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის

"საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:27 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე